ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032313664-03
თარიღი: 16.05.2023 16:55
ვადა: 16.06.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231362068 განცხადების თარიღი: 16.05.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032313664-03
16.05.2023 : 16:55
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01231362068**
თარიღი: **16/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, აგრეთვე ზემოაღნიშნული პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 16 მაისის №23.663.758 განკარგულებას.

დანართი: 15 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 23.663.758
16 / მაისი / 2023 წ.

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 64-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.გ[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2023 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 27/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016526) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ" წესის:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები" დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული

1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა, დასაშვებია მხოლოდ „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა, ხოლო ზემოაღნიშნულ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ 10 წლის და ქვემოთ წლოვანების და ამ წესის დანართი №9-ის შესაბამისად დადგენილი სპეციალური მანიშნებლის (შემდგომში - მანიშნებელი) მქონე „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილისთვის – ტაქსისთვის (M_1 კატეგორია).“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-მე-7 პუნქტები:

„5. მანიშნებლის გაცემა ხდება „A” კატეგორიის ნებართვის მფლობელზე, რომელსაც ნებართვაზე დამატებული აქვს 10 წლის და ქვემოთ წლოვანების სატრანსპორტო საშუალება, მხოლოდ ამ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განისაზღვრება მანიშნებლის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც გაცემას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

6. სატრანსპორტო საშუალების წლოვანება დაითვლება მანიშნებლის აღების მოთხოვნით უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით.

7. მანიშნებელი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინის მარჯვენა ზედა კუთხეში ისე, რომ უფლებამოსილი პირის და მგზავრის მიერ მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) ჩაჯდომამდე შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.“.

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გამოიყენოს ის გზა, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა;“;

ბ) პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) 10 წლის და ქვემოთ წლოვანების სატრანსპორტო საშუალებით და ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დადგენილი მანიშნებლით აღჭურვილმა, სამოძრაოდ და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გამოიყენოს ის გზა, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა;

ნ) ჩამოხსნას მანიშნებელი, როდესაც სატრანსპორტო საშუალება აღარ აკმაყოფილებს მანიშნებლის გაცემისათვის დადგენილ მოთხოვნებს.“.

3. მე-18 მუხლს მე-3 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ე^1$“ ქვეპუნქტი:

„$ე^1$) თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის გამოწერისას, იმავე სისტემის მეშვეობით იღებს ინფორმაციას სატრანსპორტო საშუალებაზე არის თუ არა უფლებამოსილი მძღოლი გამოიყენოს მანიშნებელი;“.

4. ამ დადგენილების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს წესის დანართი №9.

მუხლი 2.

1. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი №9-ით განსაზღვრული სპეციალური მანიშნებლების გაცემა დაიწყოს 2023 წლის 22 მაისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიმდინარე მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის პროცესში გამოიკვეთა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე გარკვეული უპირატესობები მინიჭებოდა „A" კატეგორიის მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლის წლოვანება 10 ან ნაკლები წელია, რის გამოც დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლში შედის შესაბამისი ცვლილებები. ამასთან წესს ემატება დანართის სახით სპეციალური მანიშნებელი, რომელიც იქნება იმის დამადასტურებელი, რომ სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დამატებულია „A" კატეგორიის ნებართვაზე, უფლებამოსილია იმოძრაოს და განახორციელოს მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები" დადგენილ 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნულ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე, სადაც ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა. ამასთან სატრანსპორტო საშუალების წლოვანების გამოთვლის პრინციპი აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შედის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 და მე-18 მუხლებში.

პროექტის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შესაბამისი წერილები ერთვის პროექტს).

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01231113317**
თარიღი: **21/04/2023**

ადრესატი: შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ თქვენს პოზიციას ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2023 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 27/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016526) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესის:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები" დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული

1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა, დასაშვებია მხოლოდ „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა, ხოლო ზემოაღნიშნულ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ 10 წლის და ქვემოთ წლოვანების და ამ წესის დანართი №9-ის შესაბამისად დადგენილი სპეციალური მანიშნებლის (შემდგომში - მანიშნებელი) მქონე „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილისთვის – ტაქსისთვის (M_1 კატეგორია).“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-მე-7 პუნქტები:

„5. მანიშნებლის გაცემა ხდება „A” კატეგორიის ნებართვის მფლობელზე, რომელსაც ნებართვაზე დამატებული აქვს 10 წლის და ქვემოთ წლოვანების სატრანსპორტო საშუალება, მხოლოდ ამ სატრანსპორტო საშუალებაზე განთავსების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განისაზღვრება მანიშნებლის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც გაცემას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

6. სატრანსპორტო საშუალების წლოვანება დაითვლება მანიშნებლის აღების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოსათვის მიმართვის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით.

7. მანიშნებელი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინის მარჯვენა ზედა კუთხეში ისე, რომ უფლებამოსილი პირის და მგზავრის მიერ მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) ჩაჯდომამდე შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.“.

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გამოიყენოს ის გზა, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშნით და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა;“;

ბ) პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) 10 წლის და ქვემოთ წლოვანების სატრანსპორტო საშუალებით და ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დადგენილი მანიშნებლით აღჭურვილმა, სამოძრაოდ და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გამოიყენოს ის გზა, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშნით და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა;

ნ) ჩამოხსნას მანიშნებელი, როდესაც სატრანსპორტო საშუალება აღარ აკმაყოფილებს მანიშნებლის გაცემისათვის დადგენილ მოთხოვნებს.“.

3. მე-18 მუხლს მე-3 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ე^1$“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერისას, იმავე სისტემის მეშვეობით იღებს ინფორმაციას სატრანსპორტო საშუალებაზე არის თუ არა უფლებამოსილი მძღოლი გამოიყენოს მანიშნებელი;“.

4. ამ დადგენილების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს წესის დანართი №9.

მუხლი 2.

1. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი №9-ით განსაზღვრული სპეციალური მანიშნებლების გაცემა დაიწყოს 2023 წლის პირველი მაისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

ჩესის დანართი №9

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიმდინარე მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის პროცესში გამოიკვეთა სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე გარკვეული უპირატესობები მინიჭებოდა „A“ კატეგორიის მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლის წლოვანება 10 ან ნაკლები წელია, რის გამოც დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლში შედის შესაბამისი ცვლილებები. ამასთან წესს ემატება დანართის სახით სპეციალური მანიშნებელი, რომელიც იქნება იმის დამადასტურებელი, რომ სატრანსპორტო საშუალება, რომელიც დამატებულია „A“ კატეგორიის ნებართვაზე, უფლებამოსილია იმოძრაოს და განახორციელოს მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილ 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნულ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე, სადაც ასევე განთავსებულია 5.14.1 საგზაო ნიშანი და დატანილია კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნა. ამასთან სატრანსპორტო საშუალების წლოვანების გამოთვლის პრინციპი აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი სხვა ცვლილებები შედის №24-80 დადგენილებაში.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ნომერი: 04-01231303735-01
თარიღი: 10.05.2023 18:26
ვადა: 12.06.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი:
განცხადების N: 1319565 განცხადების თარიღი: 10.05.2023
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
პასუხი

მოთხოვნის ტექსტი

პასუხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის 2480 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე პოზიციის მიწოდება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 04-01231303735-01
10.05.2023 : 18:26
ქ. თბილისი, უ.შარტავას ქ. N7

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 0 23 01319565

10/05/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა 2023 წლის 21 აპრილის №01-01231113317 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები და წინადადებები არ აქვს.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge